სამშაბათი, 1918 წ. მაისის 28 № 102

სამშაბათი, 1918 წ. მაისის 28 № 102

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებში 35 კაპ.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსახელო განცხადებანი არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

პირველი ივნისიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ცალკეულ—18 მ. თვეში (ხოლო ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდის

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ [illegible] № 5 [illegible] Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ცნობები:

მაისის 26-ს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.—შესდგა ახალი სამინისტრო ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით.—ფინანსების მინისტრად არჩეულია გ. ჟურული.—ბორჯომის რაიონში ჩვენებმა ქურთები დაამარცხეს.—ქართული ჯარი ახალციხეს უახლოვდება.—რუსეთის მთავრობა თანახმაა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ მოლაპარაკება გამართოს კავკავში.

ოსმალეთმა ულტიმატუმით ადერბეიჯანის შეერთება და ამიერ-კავკასიის რკინის გზით სარგებლობა მოითხოვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩენ რა თავის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველ ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ უფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილ მეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
7. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ისტორიული სხდომა

მაისის 26

5 საათი

საათით, თუ საათ ნახევრით წინ დასრულდა ამიერ კავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა. წავიდ-წამოვიდნენ ისინი, ვინც დიდის სიხარულით არ შეეგებებიან საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. იწმინდება ჰაერი. ყვითელ დარბაზში გაისმის დამოუკიდებელ საქართველოს შვილთა წყნარი საუბარი. მათი მხიარული თვალები ხან თუ დარბაზში მოდღესასწაულე საქართველოს ეროვნულ დროშას აჩერდებიან, ხან ფიქრში წასულნი, უმზერენ დღესასწაულზე შემოსწრე უცხოელ სტუმრებს. გარედ:—ერიამულია... ტაში... დუდუკი... მალე პრეზიდიუმის მაგიდასთან წარმომდგარ ნოე ჟორდანიას ფეხზე ამდგარი ხალხი მქუხარე ტაშით ეგებება. ისმის მხიარული: გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს! გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

ნოე ჟორდანია. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ვაცხადებ გახსნილად.

ნ. ჟორდანიას მისალმებითი სიტყვა

მოქალაქენო, აქ თქვენ დღეს მოწმენი იყავით ერთი ისტორიული ამბისა: დღეს ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და ამ ახლა ამავე დარბაზში უნდა იშვას მეორე სახელმწიფო. ამ ორ სახელმწიფოთა შორის არ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო რაიმე ინტერესთა სხვა და სხვაობა და თუ მოკვდა პირველი სახელმწიფო, ამ სიკვდილის მიზეზი არის არა ის სახელმწიფო, რომელიც დღეს დგება, არამედ ის, რომელიც დღეს არ დგება. (ტაში) დღეს აქ ახლად დაარსებული საქართველოს სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთ ერის და არც ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ. (ხანგრძლივი ტაში).

მისი მიზანია, რომ დღევანდელ ქარტეხილში დაიფაროს თავისი და ამიის დაეხმაროს სხვებს, რომელნიც არიან ჩვენზე უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდნილნი. თქვენ იცით რომ საქართველო არის ჩვეული თავის არსებობისათვის ბრძოლას. (ტაში).

ამ დიდი ხნის არსებობისთვის ბრძოლაში მან შეინარჩუნა თავისი ეროვნული სული, ვინაობა, თავისი ნაციონალური ორგანიზმი.

თქვენ იცით, რომ საქართველო არ ებრძოდა სხვის არსებობას. პირიქით, ის იბრძოდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერებისთვისაც.

ის მფარველობდა სხვა პატარა ერებსაც. (ტაში)

ეს დიადი ანდერძი უცვლელად დარჩა ქართველ ერში. ქართველ ერს შერჩა დღევანდელი ეს ძირითადი მიდრეკილება, რომ თავისი ინტერესები შეუფარდოს სხვა ერების ინტერესებს.

არც ერთი ერი და არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ჩვენს გვერდით არსებობს ან შემდეგ დაარსდება არ უნდა განიცდიდეს რაიმე წყენას, რაიმე აღელვებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

დღეს ჩვენ აქ ვიყავით მოწმენი იმისა, რომ [illegible] შური საქართველოს მიმართ.

ეს დიდი დამსახურებაა ქართველ ერისა.

მე დარწმუნებული ვარ რომ ამ [illegible] თავის მიმართულებით იგი საქმით გაამართლებს.

ჩვენ გვსურს მეზობლობა და ახლო ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენში მყოფ ერებისა.

განსაკუთრებით ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ერის ტრაგედიას. ეს ერი არის სომხობა, რომელსაც არა აქვს თავის საკუთარი ტერიტორია რომ საკუთარი სახელმწიფო დაარსოს.

მე მწამს, რომ საქართველოს ანდერძი დღესაც იქნება დაცული და ეს ტანჯული ერი ჩვენში დღეს იპოვის მფარველობას, როგორც ამას პოულობდა უწინ ჩვენში, ჩვენს ბედნიერების დროს.

ჩვენ გვსურს მივიღოთ მეგობრულად ის სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვება ჩვენს გვერდით.

ჩვენ ვიცით, რომ მუსულმანობა ჩვენ მიგვბაძავს: დაარსებს თავის ტერიტორიაზე ახალ სახელმწიფოს და შემდეგ ხელს გამოგვიწვდის, რომ შევადგინოთ ერთი სახელმწიფო. (ტაში).

ამასთანავე ეს მეგობრული დამოკიდებულობა ჩვენს გარეშე მყოფ ერების მიმართ იქნება უფრო მყარი საფუძვლიანი, მას ექნება უფრო მაგარი ძირი რომელზედაც გამაგრდება ჩვენი ნორჩი სახელმწიფო.

ამ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფონი არ ჩასთვლიან მოქიშპედ რომ მას თავიდანვე ჩაცენ წიხლი.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში არიან ერები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ და ამ სწორედ ეს უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლებებით მოსილნი როგორც თვით ქართველები.

ეს ერნი შეერთდებიან ერთ დროშის ქვეშ და შემდეგ შეეცდებიან შეჰკრან კავშირი იმ ერებთან, რომლებსაც გავშორდით დღეს. ამ გვარად წარმოიშვება ის სახელმწიფო, ის დიდი სახელმწიფო, რომელიც დღეს დაიშალა. ეს სახელმწიფო იქნება ამიერ-კავკასიის კონფედერატიული კავშირი. და ამ სწორედ, რომ ჩვენი იდეალი და სავალი გზა იქნება კონფედერატიულ კავშირის შექმნა. მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ბევრნი იქნებიან ჩვენს გარშემო, ამ კავშირში შესული ერები წარსდგებიან ხელიხელ გაყრილები და ერთის ნებით იბრძვიან საერთო მტრის წინააღმდეგ. მაშინ იქნება ის, რის შექმნაც დღეს ჩვენ სეიმის სახით ვერ მოვახერხეთ.

კონფედერატიულ კავშირში შესული ერები თავს მოიყრიან ერთ დროშის ქვეშ.

ეს დროშა იქნება ამიერ კავკასიის ხალხთა ერთობა და მათი ძლიერება. (ხანგრძლივი ტაში და ოვაცია)...

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ნ. ჟორდანია. ეხლა, ნება მომეცით, გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ დღეს აქ შევიყარენით.

ჩვენ გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. მომეცით ნება, ეს აქტი იქმნას წაკითხული (ხმები: გთხოვთ.. გთხოვთ! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!)

ჟორდანია კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ხალხი ხანგრძლივ ტაშით ეგებება... (ისმის ხმები გაუმარჯოს საქართველოს... ხალხს მიულოცეთ, ხალხს!.. დროშით... დროშით!.. გააქეთ აივანზე დროშა... ისმის ყიჟინი... ხანგრძლივი ტაში).

ნ. ჟორდანია. ნება მომეცით ახლა [illegible] ტექსტი გამოვაცხადო რუსულად.

(გ. ვეშაპელი კითხულობს რუსულად საქართველოს დამოუკიდებლობის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს) ვთხოვ ხელი ასწიოს. (ყველანი მომხრე არიან დამოუკიდებლობის). ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქმნა მიღებული. (ხანგრძლივი ტაში, ძახილი: გაუმარჯოს საქართველოს!) ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ. ეხლა ნება მიბოძეთ გაგაცნოთ დამოუკიდებელ საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილ იქმნა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. **ნოე ჟორდანია** კითხულობს (გთხოვთ, გთხოვთ!)

საქართველოს დროებით მთავრ. შემადგენლობა

თავმჯდომარე და შინაურ საქმეთა მინისტრი: ნოე რამიშვილი (ხალხი ხანგრძლივ ტაშით ეგებება ნოე რამიშვილს), **საქართველოს საგარეო მინისტრი აკაკი ჩხენკელი** (ხანგრძლივი ტაში), **სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე** (ტაში).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული. (ხანგრძლივი ტაში).

განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი. (ხანგრძლივი ტაში).

მიწათ მოქმედების და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი (ტაში).

იუსტიციის მინისტრი: შალვა მესხიშვილი. (ტაში).

გზათა მინისტრი: ივ. ლორთქიფანიძე.

მინისტრები გამოძახილზე გამოდიან და მთავრობის ადგილს იჭერენ. (ხალხი ყველა მინისტრებს ხანგრძლივ ტაშით ეგებება).

ნ. ჟორდანია. სანამ ჩვენ შევუდგებოდეთ ახალ კანონების გამოცემას საჭიროა რომ თქვენ დაადასტუროთ უკვე გამოცემული კანონები. ვინაიდან ფინანსიური საქმე ძნელი მოსაგვარებელია დროებით სანამ ქართულ ფულს გამოვცემთ, მოქმედებაში დარჩება ამიერკავკასიის ფული.

შემდეგ, რომ სხდომებს მიეცეს კანონიერი ხასიათი საჭიროა სამანდატო კომისიის არჩევა (ასახელებენ კომისიის წევრებს.)

სამანდატო კომისია

სამანდატო კომისიაში არჩეულნი არიან: კიკნაძე, არსენიძე, მიქელაძე ივ. ლორთქიფანიძე, ანჯაფარიძე, პ. ქავთარაძე, გიორგი გვაზავა და ჩერქეზიშვილი.

ნ. ჟორდანია. დღევანდელი წესრიგი დასრულდა. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა თავის დეკლარაციით გამოვა. ეხლა აქ არიან ერთა წარმომადგენლები, რომელთაც სურთ მოგვილოცონ.

მილოცვები:

მაჰმადიანთა წარმომადგენლების ხან-ხოელი. მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო თქვენს დღევანდელს ბედნიერებას. 100 წელზე მეტია რაც საქართველო იბრძოდა თავის დამოუკიდებლობისათვის და ამ დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში.

ამიერკავკასიის ერები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ეხლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს რომ შემდეგში უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ. ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთი მიმდინარეობა მიეცემა. ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით, ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ამიერკავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. (ტაში).

პოლონელთა წარმომადგენელი.

ჩვენ პოლონეთის შვილები მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და ვუსურვებთ ყოველივე სიკეთეს. გაუმარჯოს საქართველოს.

ოსების წარმომადგენელი.

გაგლოევი. ამხანაგებო და მოქალაქენო! ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის, მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს რომ ამ ორ ერის შორის არის ისეთი რამ კავშირი, რომელიც აერთებს მათ.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის დროშას დაბლა არ დაუშვებს. საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ამ დროშის ქვეშ იქნება ჩვენი დემოკრატიაც ამ იმედებით აღჭურვილი მივესალმები ამ კრებას. მიიღეთ საქართველო აიცდენს იმ განსაცდელს, რომელიც მას მოელის გარეშე მტრისაგან.

ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელი.

ჩაიდარ-ბეგ აბაშიძე. ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გილოცავთ მრავალ ტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ჩემი გული ნაღველით ევსება, როდესაც ვიგონებ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თქვენთან არ არის.

მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა, ხვალ ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება.

მაშ გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს შემდეგ კი ეროვნულ ტერიტორიალურად შეკავშირებულ საქართველოს.

გერმანეთის რწმუნებულის კაიზერის სიტყვა

თუმცა მე ჩემი მთავრობისაგან არ მაქვს ოფიციალური დავალება, მაგრამ მე პირადად მოგილოცავთ დამოუკიდებლობის დამყარებას და ვუსურვებ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ყოველივე სიკეთეს და წარმატებას.

ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი.

ამიერკავკასიის გერმანელ ახალშენთა სახელით ბ. ფრიკე ულოცავს კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველო აღდგეს ნანგრევებიდან, განახლდეს როგორც ფენიქსი (ფასკუნჯი) და ბოლოს ერთ ტაძარში გამოსჭედოს თავის ბედი. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას.

ნ. ჟორდანია. კრების სახელით მადლობას უცხადებ მათ ვინც ჩვენ მოგვილოცა და კრებას ვხურავ.

კრება იხურება.

მხიარული სახეები ერთმანეთს შორდებიან.

ზეიმი არ სრულდება. ყველანი ერთმანეთს ულოცავენ.

სასახლის ეზოს ქართველ ჯარისკაცთა რაზმი ამშვენებს. მოითხოვენ ორატორებს: წერეთელი, წერეთელი. ჩხეიძე... მესხიშვილი, ქარუმიძე.. გეგეჭკორი... ილაპარაკეს: წერეთელმა, ჩხეიძემ, მესხიშვილმა, ქარუმიძემ, გლახა მგელაძემ, რისტომაშვილმა და სხვებმა.

მაისის 27

მილოცვები. (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

გუშინ ორშაბათს დილიდანვე მრავალი თანამოაზრენი და თანამგრძნობნი ეწვია საქ. ეროვ. დემ. პარტიის მთავარ კომიტეტსა და „საქართველოს" რედაქციას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოსალოცავად.

ავსტრო-უნგრეთის დელ. მოლოცვა. მთავარ კომიტეტს და „საქართველოს" რედაქციას ეწვია ავსტრო-უნგრეთის იმპერატორისა და მეფის ლეიტენანტი დოქტორი ჰანს რანკი. მან განაცხადა: თუმცა მე არ მაქვს ამ ჟამად ჩემი მთავრობის ოფიციალური მინდობილობა, მაგრამ თავის პირად ვალდებულებად ვთვლი გულწრფელად მოგილოცო თქვენის საშუალებით ქართველ ერს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა. ვუსურვებ ახალს სახელმწიფოს სრულს აღორძინებას და აყვავებას. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ყველა ჩემი თანამემამულე ტყვეები, რომელნიც ამ ჟამად აქ იმყოფებიან ასეთსავე გრძნობებს განიცდიან თქვენდამი.

ა. ასათიანი. მთავარი კომიტეტისა და რედაქციის სახელით მადლობას უძღვნის დოქტორ რანკს მილოცვისათვის და გამოსთქვამს იმედს, რომ ავსტრო-უნგრეთი და მისი მოკავშირენი არ მოაკლებენ მფარველობას და დახმარებას ახლად აღდგენილ სახელმწიფოს, რომლის მცხოვრებნი იმედოვნებენ თავის სახელმწიფოებრიობის შექმნას ევროპასთან დაახლოვებით და ამ მხრივ განსაკუთრებულს იმედებს ამყარებენ ავსტრო-უნგრეთსა და გერმანიაზე.

საქართველო მკვდრეთით აღსდგა!

26 მაისს, 1918 წელს საქართველო მკვდრეთით აღსდგა. ეს დიდი ისტორიული დღეა. და დღეს მთელი ქართველი ხალხი ერთსულ უნდა იყოს!

შავ დღეთა ჟამმა განვლო და საბედნიერო, სადღეო დღეები გაგვითენდა! საქართველოს ზეცზე ჩვენთვის კვლავ მზეობს! და ქართველის გულში გლოვის ნაცვლად სიხარულმა დაიბუდა!

მაშ ნუღარ მოსთქვამ, ქართველო, მწარედ შენს უბედობას და ნუღარა მღერ წუხარე სიმღერებს! იგალობე მხიარული, გამამხნევებელი, აღმაფრთოვანებელი საგალობლები!

მაგრამ იცოდე, თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ბრძოლით მოპოვებულია. საქართველოს თავისუფლებას ბევრი მტერი ჰყავს. მტრის მოგერიება კი მხოლოდ ხმლით შეიძლება!

ვის რისთვის უნდა სიცოცხლე, საქართველოს თუ მტერი დაეპატრონება! მაშ ნუღარ დაიდგამთ ქართველნო მოსისხლის უღელს, ნუ გასტეხთ წინაპართა ანდერძს, რუსთველის მიერ თქმულს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი", და დაიცავით საქართველოს თავისუფლება!

მემამულე და გლეხი, მიწის—მუშა და ხელოსანი—სამშობლოს დაცვის საქმეში ერთად უნდა შეკრბნენ და ერთმანეთს მეგობრად ხელი უნდა მისცენ. დეე იცოდნენ, რომ სამშობლოს თავისუფლება მეტია, ვიდრე ოქრო, და სამშობლოს იდეა მეწვრილმანურ ანგარიშებს აღემატება, სამშობლოს დიდებულება მეწვრილმანური საზომით არ განიზომება!

მაშ დაივიწყეთ დროებით მაინც შინაური ანგარიშები! მდიდარმა და ღარიბმა, ვაჭარ-მრეწველმა და მუშამ—ყველამ უნდა დასდოს საკუთარი პირადი კეთილდღეობა და სამშობლოს მსხვერპლად უნდა შესწიროს.

მაშ შეაჩერეთ სამოქალაქო ომი,—ამოიგდეთ გულიდან ძმათა ძულება და მხოლოდ გარეშე მტერზე. იძიეთ შური!

ხელი ხმალს! ქუდზე კაცი გამოდით და შეებრძოლეთ მტერს რომელიც ჩვენის ახლადშობილი თავისუფლების მოსასპობ ბადე თავს დაგვცხა!

ქართველი ერის რისხვა დაატყდება თავს და ისტორია შეაჩვენებს იმ ქართველს, რომელიც სამშობლოს უღალატებს და თავის მოვალეობას გაექცევა!

და ნეტარ იქნებიან სამშობლოსთვის თავდადებულნი!

გულს ნუ გაიტეხთ! შეერთებული, ერთსულოვანი ქართველობა უძლეველია და შემოსეულ მტერს ადვილად დაამარცხებს!

მაშ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს თავისუფალს ქართველ ხალხს! გაუმარჯოს თავისუფლებისთვის მებრძოლთ!

გახიაძ წერეთელი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი შენება

საქართველო 26 მაისიდან უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ქართველმა ერმა უკვე გადალახა უდიდესი პოლიტიკური ზღუდე, რომლის იქით მან დასტოვა ერთი საუკუნის მონობა, ეროვნული უუფლებობა და უძლურება. საქართველო დღეს სუსტია და გაუბედავი, როგორც ბუდიდან ახლად გამოფრენილი ფრინველი. მას გაუჭირდება პირველს ხანებში საკუთარ ფეხებზე დაყრდნობა. საუკუნის განმავლობაში ჩახშულ საკანის შემდგომ, ქართველ ერს მძიმედ მოეჩვენება თავისუფალი ჰაერი. მაგრამ მალე მოულონიერდება მუხლები განთავისუფლებულ ერს და მალე მიიჩვევა მისი ფილტვები თავისუფალ სუნთქვას.

მთლად საქართველო უნდა ამოძრავდეს ახალი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად. ქართველმა ერმა უკვე დასწყვიტა ის ჯაჭვები, რომელნიც მას ბორკავდენ, მაგრამ განთავისუფლებული ერი ამ ჟამად სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნანგრევებზე სდგას.

ყოველივე ხელ-ახლა უნდა აშენდეს, ვინაიდან ჩვენ ამ ჟამად არავითარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ გვაქვს და თუ რამ მოგვეპოვება, ეს მხოლოდ ნანგრევები და ნაშთებია იმ სახელმწიფოებრივი ურთიერთობის, რომელსაც დააღწია თავი ქართველმა ერმა 26 მაისს.

საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ვერ იკისრებს და ვერ შესძლებს ერთი რომელიმე პარტია, ჯგუფი თუ კლასი. ერთი წლის მაგალითები გვარწმუნებს, რომ პარტიას, ან რომელიმე ერთს კლასს შეუძლიან მხოლოდ დარღვევა, დაქცევა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, ხოლო მის ასაგებად ასეთი ძალები საკმაო არ ყოფილა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა საძირკვლიანად უნდა გადაკეთდეს და აშენდეს თანახმად ქართველი ხალხის ინტერესებისა და საჭიროებებისა.

ადგილობრივი თვითმართველობა და ადგილობრივი მმართველობა, სკოლა, სასამართლო თუ სამხედრო ძალა, მისვლა-მოსვლის საქმე და მეურნეობისა თუ ვაჭრობა-მრეწველობის ბუნებრივს კალაპოტში ჩაყენება,—ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ძალუძს ერის რომელიმე ნაწილს. ეს უდიდესი აღმშენებლობა მთელი ქართველი ერის გაერთიანებას და ყველა მისი ძალების მობილიზაციას მოითხოვს. პატარა ერს პატარა ენერგია აქვს და რომელსაც მისი ცხოვრება საძირკვლიანად უნდა აშენდეს, საჭიროა ამ ენერგიის სავსებით გამოყენება.

საქართველოს დამოუკიდებლობა იშვა რუსეთის რევოლუციის ნანგრევებზე და საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელ ჯაჭვებისა თუ ძაფების გადაჭრა იკისრა იმ მიმართულებამ, რომელიც მეთაურობდა რუსეთის რევოლუციას და რომელიც ჰქადაგობდა რევოლუციონურ ერთობას და მთლიანობას. ჯერ კიდევ, სანამ საქართველომ არ განითავისუფლა თავი რუსეთის და მისი რევოლუციის ხლართებიდან, ამ გარდამავალ ხანაში საქართველოს სჭიროდა სწორედ ისეთი მთავრობა, როგორიც ამ ჟამად შექმნა მან. მაგრამ როგორც დაიწყება საქართველოს პოლიტიკური აღმშენებლობა, როგორც კი შეუდგებით მთავრობის მექანიზმის შექმნას და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლების ჩაყრას, ცხოვრება მოითხოვს ახალს პოლიტიკას ახალ კურსს, ახალს მთავრობას და ახალს ძალებს ამ აღმშენებლობისათვის.

საქართველოს პირველი მთავრობა არის ამიერკავკასიის დაშლის და მისგან საქართველოს გამოყოფის მთავრობა. სულ მახლობელ ხანში მას მოჰყვება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამშენებელი მთავრობა და ამ ეროვნულ მთავრობის გარშემო შემოკრბება და თავს მოიყრის ქართველი ერის ყოველი ნაწილი, ყოველი წრე და ჯგუფი.

განთიადის ჟამს

დადგა განთიადის ჟამი.

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ზეიმით იდღესასწაულა ერმა თავისის განახლების ჟამი, ახალი ცხოვრების დასაწყისი.

მაგრამ მარტო ეს არა კმარა.

საჭიროა სწრაფი მობილიზაცია ყველა ჩვენი ძალებისა, შემოკრება ეროვნულ მთავრობის გარშემო ყველა სახელმწიფოებრივ ელემენტებისა, ყველა იმისი, ვინც ცოტათი თუ ბევრად გამოიჩინა თავი ეროვნულ-აღმაშენებელ საქმიანობით, ვისაც უნარი შესწევს ემსახუროს სამშობლოს არა დაუსრულებელ ფრაზეოლოგიით, არამედ გამუდმებულის საქმით, შემოქმედებითის შრომით.

დღეს, ერის განსაცდელის ჟამს, უნდა დავივიწყოთ ყოველგვარი განსხვავება პარტიული, სოციალური თუ წოდებრივი.

დღეს ყველანი, განურჩევლად წლოვანობისა და მდგომარეობისა, განურჩევლად შეხედულობისა და აზროვნებისა, უნდა ჩავებნეთ ქვეყნის აღმაშენებლობაში, ყველამ თითო აგური უნდა მივიტანოთ ეროვნული საკურთხევლის ასაგებად.

უნდა გამოყენებული იყოს ყოველი ცოცხალი კულტურული ძალა, ყოველი ნივთიერი შესაძლებლობა, საერთოდ ყოველი ატომი ჩვენის სინამდვილისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების შესაქმნელად.

არც ერთი მისხალი ეროვნულ ენერგიისა დაკარგული და გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს.

ყველას თავისი საქმე უნდა მიეჩინოს, სასტიკად მოეთხოვოს მისი შესრულება, ნაკისრ მოვალეობის პირნათლად მოხდა.

დავივიწყოთ დროებით ყოველგვარი რვა და ექვსი საათის სამუშაო ნორმები.

დღეს ამების დრო არ არის.

დღეს შრომაა საჭირო, შრომა დაუღალავი, დაუძინებელი, სასოწარკვეთილი.

თუ ჩვენ ეს არ შევიგნეთ, თუ ყველამ მარტო იმაზე იფიქრა, როგორ მოაწყოს საუკეთესოდ თავისი პირადი თუნდ კლასიური საქმე, საერთო საქმე დაიღუპება, ერი გადიჩეხება კლდეზე, დაჰკნება და გაუფერულდება ახლად გაფურჩქვნილი სახელმწიფოებრიობა ჩვენი.

დღეს მთელი ერი ერთ ძმურ ოჯახად უნდა იქცეს, ერთ აღმაშენებელ ასოციაციად. დღეს [illegible] უნდა იქმნეს ყველა ის, რაცა ჩვენ შორის, გვაცალკევებს, ჰფანტავს ჩვენს ძალასა და ღონეს.

დღეს ერთობის და სოლიდარობის დროა, ერის შემადგენელ ნაწილების შედუღებისა და შეკოწიწებისა და არა მათი ერთმანეთის დაპირდაპირებისა.

შევიგნოთ ეს!

წარსულის შეცდომებს ნუ განვიმეორებთ!

შეუპოვარი

სეიმის დეპეშა ამიერ-კავკასიის დაშლის შესახებ.

ბერლინი. სტამბოლი. პარიზი. ვენა. ლონდონი. რომი. ვაშინგტონი. მოსკოვი. სოფია. ტოკიო. ბუქარესტი. თეირანი. მადრიტი. ჰაგა. კიევი. სტოკჰოლმი. ქრისტიანია. კოპენჰაგენი. საგარეო მინისტრებს: რადგანაც ამიერკავკასიის სეიმმა 26 მაისს შუადღის 3 საათზე ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა და შემდეგში უკვე არ არსებულად, სეიმმა მოვალეობა მოიხსნა და თავის თავი დაშლილად გამოაცხადა. გაცნობებთ რა ამას თქვენ ზემო ნახსენები, მე გთხოვთ თქვენს აღმატებულებას, აცნობოთ თქვენს მთავრობებს.

სეიმის თავმჯდომარე

დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

იმავე ადრესებით.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება. გატყობინებთ რა ამას მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას და გთხოვთ აცნობოთ თქვენ მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნოე რამიშვილი.

საზავო მოლაპარაკება

ბათუმიდან იტყობინებიან, რომ ყოფილ თავმჯდომარემ ყოფილ ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის საზავო დელეგაციისა ა. ი. ჩხენკელმა 26 მაისს საღამოს $8^3/_4$ ს. ოსმალეთის საზავო დელეგაციის მეთაურის ხალილ ბეისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის ულტიმატუმი:

თქვენი აღმატებულება კარგად უწყის, რომ კავკასიის მდგომარეობა ერთობ კრიტიკულია და გამოურკვეველი, რასაც ბოლო უნდა მოეღოს დაუყოვნებლივ. ოსმალონი და მაჰმადიანები ასი ათასობით ატარებენ ბაქოში და მის მიდამოებში დაუნდობელ ყაჩაღთა ეგრეთწოდებულ რევოლუციონერების უღელს. დაუნდობელი კატასტროფა, რომელიც რისხვას უქადის ამ უბედურებს, თანდათან აუცილებელი ხდება. მშვიდობიან ოსმალო მცხოვრებთა ბედი ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში, სადაც მრავალი მოწყობილი ყაჩაღთა და მცარცველთა ბრბოების სისტემატიური და უზომო ძალმომრეობა არა ნაკლებ უზრუნველყოფილია და და საყურადღებო. მიუხედავად ამისა ბ-ნო თავმჯდომარევ, თქვენ სცნობთ, რომ არავითარ მთავრობას, რომელიც ღირსი იქნება ამ სახელის, არ შეეძლო გულგრილად შეხედოდა იმას, რომ მის მხარესთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე დაუსჯელად მრავლდებოდა ასეთი დანაშაულობანი და თქვენ, რასაკვირველია, აღიარებთ, რომ ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობის მდგომარეობას განსაკუთრებით ვერ შეუძლია ამიერ კავკასიაში მძვინვარე ანარქია აიტანოს, რადგანაც ამას უპირველესად ყოვლისა მოითხოვს იმ მცხოვრებთა უზრუნველყოფის საჭიროება, რომელნიც დანათესავებულნი არიან იმპერიის მცხოვრებლებთან რასიულად და კულტურულად, მეორეს მხრით, საყოველთაო ომის მოთხოვნილებანი საიმპერატორო მთავრობას იძულებულ ხდიან უზრუნველ ჰყოს კავკასიაზე ჯარის თავისუფლად გადაყვანა რკინის გზებით, რომლებიდაც შესაძლებელია, ჩქარა, მეორე ფრონტზე.

ეს გარემოებაც მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს ეხლანდელ გამოურკვეველ მდგომარეობას. ყველა ამ მიზეზის გამო ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობა თავის ვალად სთვლის მოითხოვოს, რათა დაუყოვნებლივ აცნობონ მას ფორმალური პასუხი ამიერკავკასიის დელეგაციისა ოსმალეთის წინადადებაზე, აგრეთვე ახალ წინადადებაზე საზღვრების შესწორების შესახებ, რის ტექსტიც მე მაქვს პატივი გადმოვცე ამასთანავე თქვენს აღმატებულებას.

ამნაირად ჩემი მთავრობას მიაჩნია, რომ მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკას მიერ ზემო აღნიშნულ წინადადებათა სავსებით და მოკლე ხანში მიღებას შეუძლია დამყარება კავკასიის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობისა. გაცნობებთ რომ მხოლოდ წინადადებათ მიღებას შეუძლია მტკიცე მდგომარეობის და საკმაო გარანტიის შექმნა ოსმალო და მაჰმადიან მცხოვრებთა მდგომარეობის უზრუნველყოფისას და მოვალეობას მე ვხოვ თქვენს აღმატებულებას, მაცნობოთ 72 საათის განმავლობაში (3 დღე) დღევანდელ დღის საღამოს 8 საათიდან, იღებს თუ არა მთლიან რესპუბლიკის მთავრობა ოსმალეთის მთავრობის წინადადებას. მე აგრეთვე უნდა დავუმატო, რომ ამ 3 დღეში ორივე ჩვენი მთავრობების ურთიერთი დამოკიდებულება ძველებურად მეგობრული იქნება მხოლოდ იმ უეჭველ პირობით, თუ ოსმალთა ჯარის ოპერაციებს სამხრეთ კავკასიაში ბრძოლა განჯასა და ჯულფას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდება.

ულტიმატუმის წარმოდგენის შემდეგ ოსმალეთი მოითხოვს, რომ მას შეუერთდეს შემდეგი ტერიტორია: ნახიჩევნის მაზრა (გორდას ორლუბანის და მის მოსაზღვრე მცირე ხაზის), შარურ-დარალაგეზის მაზრის ნახევარი, ერივნის ნახევარი გუბერნია (ქ. ერივანი სომხეთის ფარგლებში რჩება), სურმალინის მთელი მაზრა, ეჩმიაძინის თითქმის მთელი მაზრა (ქ. ეჩმიაძინით), განჯის გუბერნიის დიდი ნაწილი ქ. განჯით და მთელი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები. აგრეთვე მოითხოვენ ჯარის გადაყვანას ყველა რკინის გზებზე.

შუამდგომლობა დამოუკიდებლობის შესახებ

მოსკოვის რადიო-სადგურის ცნობა. მაისის 25. მაისის 15 საგარეო კომისარიატმა განაცხადა, რომ მისი აზრით, საჭიროა ბათუმის საზავო კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდეს რუსეთის მთავრობის წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენელი, წინააღმდეგ შემთხვევაში დადებულ საზავო ხელშეკრულებას რუსეთი არ სცნობს. გუშინ, მაისის 22, გერმანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობამ აცნობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ ჩხენკელის მთავრობა გზავნის მოქალაქე მაჩაბელს ელჩად რუსეთის მთავრობასთან. მას ევალება მოლაპარაკება ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. იმპერატორის ელჩი გრაფი მირბახი აცნობებს რუსეთის მთავრობას, რომ მოსალაპარაკებლად არჩეულ იქმნეს კიევი და ურჩევს ჩქარა მოაგვაროს ეს საქმე. რუსეთის მთავრობა ყურადღებით ეპყრობა გერმანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობის ცნობას და აცხადებს, რომ იგი მზადაა მოლაპარაკეაა აწარმოოს ჩხენკელის დელეგატთან. ამასთანავე აცხადებენ, რომ ისინი არ სცნობენ ეგრედ წოდებულ ამიერკავკასიის მთავრობას. რუსეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებისთვის კიევი არ არის მოსახერხებელი ადგილი. რუსეთის მთავრობა მოსალაპარაკებელ ადგილად ქალაქ კავკავს ასახელებს. რუსეთის მთავრობა იზიარებს გერმანიის მთავრობის სურვილს მოლაპარაკების დაწყების და ჩქარა მორიგების შესახებ.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი
ჩიჩერინი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ნოტა იოფფეს

დღეს იოფფეს შემდეგი ნოტა გაუგზავნეთ. „რუსეთის მთავრობამ ცნობები მიიღო, რომ გერმანული ჯარები ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე არა ერთხელ გადმოსულან სადემორკაციო ხაზზე და ჩვენს ჯარს დასცემიან. ასე მოუხდენიათ სოფელ ბოგდანოვის რაიონში და ნიკოლსისთან. საშინაო საქმეთა სახალხო კომისარი იმედს გამოსთქვამს, რომ გერმანელი ჯარები ყოველივე ღონეს მიიღებენ ასეთ არასასურველ ინციდენტების თავიდან ასაცდენად.

მღვდლების უსტარი ლენინთან

ბელგიური ბიუროს ცნობით ლენინმა შემდეგი წერილი მიიღო:

„მოქალაქე ლენინო!

მოგვეხსენებათ, როგორც თავისუფლების მომხიბლელს, როგორც დამპალ რეჟიმის გამანადგურებელს. თქვენი წყალობით მონები განთავისუფლდნენ, მაგრამ ყველამ ვერ იგრძნო თქვენი თავისუფლება. დარჩა ერთი პროლეტარული წოდება, რომელიც თქვენ დაივიწყეთ და აწ ჰგოდებს ძველურ რეჟიმის უზურპატორების ბრჭყალებში. ეს არის—სასულიერო წოდება. ვინ თხოულობს დღეს ხელგაშვერილს მოწყალებას თავის ოჯახის გამოსარჩენად? ვის აყენებენ მწვავე შეურაცხყოფას საზოგადო კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თეატრებში, კონცერტებში და სხვ. ვის აცვია დღემდე მასხრული ტანისამოსი, რომელიც მონობისათვის არის მოგონილი? ნუ თუ ჩვენ ადამიანები არა ვართ, ნუ თუ ზვიად თავისუფლების დროში არ უნდა ვსტკბებოდეთ თავისუფლებით. ნუ თუ სამუდამო მონობაში უნდა ამოგვხდეს სული? არა და ათას ჯერ არა! გვჯერა რომ არ დაგვივიწყებთ. ვიმედოვნებთ რომ გამოსცემთ დეკრეტს, რომლითაც განგვანთავისუფლებთ ამ უგვანო სამოსლისგან, შეგვრჩება რა მხოლოდ მღვდელმსახურების დროს, გაგვათანაბრებთ უფლებებით ყველა მოქალაქეებთან, გვექნება ნება ვიაროთ თეატრები, ლექციები, კონცერტები და უმთავრესად—შეგვეძლება მოვიკრიჭოთ თმა, რომლითაც ვგევართ პირველყოფილ ადამიანებს. დაჟინებით გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ ჩვენი ტირან არქიელებისაგან და გემსახურებით სიმართლით და სარწმუნოებით. ნუ ჰგონებთ, რომ მთელი სასულიერო წოდება თქვენი მტერი იყოს. გყავთ ბევრი მეგობრები, მაგრამ შებორკილებულები, რომელთაც უნდათ თავისუფლად ამოისუნთქონ ძმობისა და თანასწორობის სახელით.

ცრუ ხმები ბრუსილოვზე.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ყოველივე ხმები ბრუსილოვის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ სინამდვილეს მოკლებულია.

რუზსკი.

როგორც ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, გენერალი რუზსკი ავადაა. მას ბოლშევიკებთან არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებია.

რადკო დმიტრიევი.

რადკო დმიტრიევი ცხოვრობს ესსენტუკში. დღემდე საბჭოთა მთავრობა მტრად იქვის თვალით უყურებდა რადკო დმიტრიევს. დღეს კი საბჭოთა მთავრობა მართლა აწარმოებს მოლაპარაკებას რადკო დმიტრიევთან.

გურიევის პროექტი.

პეტროგრადში სახელმწიფო ბანკში მთავარ კომისრის სპუნდეს თავმჯდომარეობით განიხილეს გურიევის პროექტი ქაღალდის ფულის გაუქმების შესახებ. პროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ საფინანსო წრეების წარმომადგენლები. პროფ. ილ. აზრეჩიმ და კომისარმა სპუნდემ აღიარეს, მისი შეუძლებლობა. მაგალ. საკრედიტო მანეთების ბეჭვდა დღეს ათი შაური ჰღირს. „თუ გავითვალისწინებთ, რომ ხმარებაში გვაქვს არა 35 მილიარდი ქაღალდის ფული, არამედ 25 მილიარდი, რომელიც წელიწადში ორჯერ უნდა შეიცვალოს, მაშინ თვალსაჩინო იქნება, რომ მარტო დაბეჭდვისთვის დაიხარჯება 10—12 მილიარდი. გურიევმა თავის ოპონენტებს განუცხადა, რომ პროექტის კრიტიკამ დამარწმუნა, რასაც იგი აღიარებს, საკითხი მხოლოდ დეტალებზე გადადის. კამათი შემდეგ სხდომაზე გადიტანეს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

◆ **ეროვნული საბჭო** გუშინ სასახლეში გადავიდა.

◆ **თბილისის კომიტეტის კრება.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თბილისის კომიტეტის კრება გაიმართება დღეს, სამშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე. დღიური წესრიგი: ა) მოხსენება მოვლენების შესახებ; ბ) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აღნიშვნა; გ) ქ. თბილისის გარეგნულად გაქართულებაზე ზრუნვა და დ) მიმდინარე საკითხები. დასწრება აუცილებელია. უწყებები არ დაიგზავნება.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ ვაჭარ-მრეწველთა კრება.** ხვალ, ოთხშაბათს, მაისის 30-ს, ნაშუადღევის 2 ს. მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრე ვაჭარ-მრეწველთა კრება. კრების საგანი: ა, მთავარ კომიტეტის წევრის იოს. მეჯვარიანის მოხსენება მოვლენების შესახებ; ბ, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწყობის სადღეისო საკითხები. სახოვენ ყველა ჩვენ თანამოაზრე ვაჭარ-მრეწველთ მობრძანდნენ ხსენებულ კრებაზე.

◆ **კალენდარი ახალი სტილით.** კანტორა „განათლება“-ს გამოცემა იყიდება საქართველოს რედაქციის კანტორაში.

◆ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და დაურიგდა გასაყიდათ წიგნის მაღაზიებს „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“ გიმნაზიის მეორე კლასის კურსი (ნაწერები) შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა. შედგენილი ქუთ. ქართ. გიმნაზ. მასწავლებლის ს. დათეშიძის მიერ.

◆ **მეცხოვრე ჯარის უფროსმა** დაპატიმრა რუსეთის მე-2 პოლკის აფიცრები: ალექ. ფლასოვი, პოლკოვ. ევგ. კაზანსკი, პოლპ. გიორ. კლევანსკი, პრაპ. ვლ. ჩეჩენოვი, პოდპ. მიხ. ჩებირიაკი, პოდპ. მიხ. სერბლინი, პეტრე გიჟელი და გრ. ტოლსტოუსოვი გამოძიების დამთავრებამდე; იმავე პოლკის პრაპ. ნ. გრაფს, მეფ. ინ. რაზ. ჯარის კაცი იოს. კიროევი გამოძიებამდე; ჯარის კაცი სერგეი მარტინოვი და ანდრეი ჩიჩაგოვი.

— 1 კომისარიატის მილიციელებმა დაპატიმრეს ლეონ მანჯაკანცი, მიხ. ზვალანსკი, ალექსი ზებსკი და ბორის ბეგინი ქუჩაში ძალმომრეობისთვის და თავდასხმისთვის. ერთი ამათ ამხანაგთაგანი არომხოიანცი გაიქცა.

◆ **მთავრობის განკარგულება.** მთავრობამ განკარგულება მისცა, რათა თბილისის ყველა სამუსიკო ძალებმა, მონაწილეობა მიიღონ ქართულ ჰიმნ-საგალობლების კონცერტში, რომელიც გაიმართება კვირას, 2 თიბათვეს საზაფხულო თეატრში, კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ახალი განაწილება უბნებისა.—საქართველოს ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა ახალი გადაჯგუფება უბნებისა. თბილისი გაყოფილია ოთხ რაიონად: **პირველ რაიონში** შედის მტკვრის ზევითა მხარე მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე. **მეორე რაიონში**—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი, სახელდობრ: მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ. **მესამე რაიონში**—მტკვრის ქვეითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან დიდუბემდე. ამ ნაწილშივე შედის ნაძალადევიც. **მეოთხე რაიონში** შედის მტკვრის ქვეითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

წინანდელი დანაწილება უბნებისა ისპობა, სარაიონო კომიტეტები უკვე შედგენილია პირველ, მეორე და მესამე რაიონებში. ამ დღეებში მოეწყობა მეოთხე რაიონშიც, რის შემდეგ პარტიული ორგანიზაციის გარდაქმნა თბილისში დასრულებულად ჩაითვლება.

პირველ რაიონის თავმჯდომარედ არჩეულია გ. ცაციშვილი, მეორისა—იას. ჯავახიშვილი და მესამისა დიმ. დუმბაძე.

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრის ცნობა.

ბაქოს რადიოსადგურიდან. სასწრაფოდ. მოსკოვში. სამხედრო ტყვეების სამშობლოში დამბრუნებელი ცენტრ. კომიტეტის საბჭოს. ვახოვ ყველა მას, ვინც ტყვეობიდან ამიერკავკასიაში ბრუნდება ბაქოზე ნუ წამოვა რადგან თბილისთან მიმოსვლა შეწყვეტილია. ტყვეები წამოვიდნენ კავკავის გზით.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარი ყორღანოვი.

ᲐᲓᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲘ

ადერბეიჯანის ოლქის ჩამოშორება უკვე შესრულებული ფაქტია. თითქმის მთელ განჯის გუბერნიაში და ბაქოსა და ერევნის გუბერნიების მრავალ მაზრებში ჩვენ კომისრების ალაგას ოსმალებმა თავიანთი მოხელეები დანიშნეს. („ედინენიე“).

კიაზიმ ფაშა განჯაში.

განჯიდან ჩამოსული პირი დაწვრილებით გადმოგვცემს კიაზიმ ფაშას განჯაში ჩასვლის ამბავს. ჩამოსვლისთანავე ფაშამ ინახულა გენ. შიხლინსკი, შემდეგ გამართა ქალაქის სამხედრო ნაწილში, გამოიწვია მათი წარმომადგენლები, დაამშვიდა და აცნო რომ ყოველივე ღონისძიებანი იქნება მიღებული უსიამოვნო ამბების წინააღმდეგ. სომხებს იარაღს შეარჩენენ, სანამ ბრბოს არ აჰყრიან იარაღს.

შემდეგ კიაზიმ ფაშამ აცნობა ბრბოს მეთაურებს, რომ თუ ისინი იარაღს არ აჰყრიან თავიანთ რაზმებს, მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებს. სხვაფრივ ქალაქში სიმშვიდეა.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

უკვე წინასწარ ცნობილი იყო, რომ 26 მაისის სხდომა იქნებოდა უკანასკნელი ამიერ-კავკასიის სეიმის ხანმოკლე ისტორიაში, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო თანახმად საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა და სეიმის ფრაქციათა ურთიერთ შორის შეთანხმების მიხედვით. დილიდანვე მრავალმა ხალხმა თავი მოიყარა სასახლის წინაშე და ელოდა სეიმის გადაწყვეტილების ფორმალურ დაკანონებას და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას. თვით სეიმის სხდომათა დარბაზში ლოჟები და ადგილები გარეშე საზოგადოებისათვის გაჭედილი იყო ხალხით. პირველის ნახევარზე ნელნელა თავს იყრიან დარბაზში სეიმის წევრები და საათის $12^3/_4$-ზე თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე აცხადებს სხდომას გახსნილად. სიტყვა მიეცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის დროებით თავმჯდომარეს **ნ. რამიშვილს**—რომელიც თავის ვრცელ სიტყვით არკვევს კრების წინაშე შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, საზავო მოლაპარაკების შედეგებს და კერძოდ შიგნით ამიერ-კავკასიაში შექმნილ ვითარებას.

როგორც ნ. რამიშვილის სიტყვიდან ირკვევა, საზავო მოლაპარაკებას ბათუმში ჯერ-ჯერობით არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოყოლია. საზავო დელეგაციებს ჰქონდათ აქამდის მხოლოდ 1 ოფიციალური სხდომა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის, ოსმალეთის და გერმანიის წარმომადგენლებმა. ამ სხდომაზე მთიელი ხალხების სახელით ჰაიდ. ბამმატოვმა განაცხადა, რომ ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებელ ხალხებს ჰსურთ იყოლიონ თავისი წარმომადგენლნი კონფერენციაზე. ამ წინადადებაზე ოსმალეთის და ჩვენმა დელეგატებმა თანხმობა განაცხადეს, ხოლო გერმანელ დელეგატებმა მიიღეს ის ცნობად. ძირითადი საკითხი, რომელსაც შეეხნენ დელეგაციები ამ სხდომაზე, იყო დამოკიდებულება ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებასთან. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ განაცხადა, რომ ტრაპეზუნდის მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ, რაკი მას მოყვა სამხედრო მოქმედების განახლება, ოსმალეთის მთავრობა თანახმა არ არის დაეფუძნოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. მეორე საკითხი, რომელმაც იწვევდა უთანხმოებას, არის საკითხი იმის შესახებ, წარმოებულ იქნას მოლაპარაკება ამიერკავკასიასა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა შორის, თუ თავდაპირველად მთავარი კითხვის შესახებ მოხდეს შეთანხმება ოსმალეთთან და შემდეგ დაწყებულ იქნას მოლაპარაკება სხვა ცენტრალ სახელმწიფოებთან მეორე ხარისხოვან (ეკონომიურ, ფინანსიურ და სხ.) საკითხების გასარკვევად და დასადასტურებლად. პირველს თვალსაზრისს ადგა ჩვენი დელეგაცია და მეორეს—ოსმალეთისა. გარდა ამისა, ჩვენი დელეგაციის მდგომარეობას მეტად ართულებს ის გარემოება, რომ ბათუმში ამიერკავკასიის დელეგაციის გარდა იყოფება და მუშაობს დელეგაციები სხვა და სხვა ხალხებისა, განსაკუთრებით აღმ. ამიერკავკასიის მაჰმადიანებისა. 15 მაისს დილის 6 საათზე ხალილ-ბეიმ და ვეხიბ-ფაშამ განუცხადეს ჩვენს დელეგაციას, რომ ოსმალეთის ჯარი იძულებულია წინ წაიწიოს ალექსანდროპოლის რაიონში, ჯულფის მიმართულებით ინგლისელების წინ წამოწევის გამო. ამ წინ წამოწევას მოყვა შემდეგად ფორმალური ოკუპაცია ერევნის გუბერნიის დიდ ნაწილისა. ჩვენმა დელეგაციამ ამის შესახებ განაცხადა ენერგიული პროტესტი, რომელიც მან აცნობა როგორც ოსმალეთის, ისე გერმანეთის დელეგაციას. გერმანეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ეს პროტესტი დაუყოვნებლივ აცნო გერმანეთისა, ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის მთავრობებს.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სოციალური რეფორმებით უკმაყოფილო წრეების აგიტაცია აღმოს. ამიერკავკასიაში დაუკავშირდა ბოლშევიკების გამოსვლას ბაქოში და ორივე ეს გარემოება ქმნის ფრიად ხელსაყრელ პირობებს ოსმალთა შემოსვლის სასარგებლოდ აგიტაციის გამართვისათვის. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს ჩვენი დელეგაციის მდგომარეობას. ამით აიხსნება რომ თანამედროვე პირობებში მთავრობას არა აქვს რწმენა რომ სამშვიდობო მოლაპარაკება ჯეროვნად დამთავრდესო, დაასრულა თავისი სიტყვა ნ. რამიშვილმა.

ნ. რამიშვილის შემდეგ სიტყვას თხოულობს **ი. წერეთელი**, რომელიც ს.-დ. ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ფრაქციის აზრით საჭიროა გადაწყვეტილ იქნას გარდამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ახლანდელ გაჭირვებიდან. ჩვენ კარგად გვესმის, სთქვა სხვათა შორის ორატორმა, რომ სხვა და სხვა ერებს შორის შეძლება არ ესმოდეს სხვა და სხვა მისწრაფება და ორიენტაცია და ამ თვალსაზრისით ამიერ-კავკასია უკვე არ წარმოადგენს ერთს მთლიანს სახელმწიფოს. სახელმწიფოებრივი ერთობა მტკიცდება ხანგრძლივ ისტორიულ ჟამთა მსვლელობაში, ხოლო ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვექმნა ეს ერთობა საჩქაროდ, მტრის მახვილის ქვეშ. ჩვენთვის საშიშია არა გარეშე მტერი, არამედ ის გამთიშველი ძალები, რომელიც თან დაჰყვა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრიობას. ამით აიხსნება, რომ ბათუმში არ არის დაპირდაპირებული ცენტრალ სახელმწიფოების მიმართ ერთი ნების ყოფა ამიერკავკასიის რესპუბლიკისა. აღმოს. ამიერკავკასია არ უმაგრებს ზურგს იმ დელეგაციას რომელიც აწარმოებს ბათუმში საზავო მოლაპარაკებას. უდიდესი ნაწილი ამიერკავკასიისა ჩამოშორდა ჩვენს მთავრობას, ზოგი ოლქი სამხედრო ოკუპაციის სახით უპირავს მტერს და სხვა ნაწილები კი ფაქტიურად გამოგვეთიშნენ. სეიმსა და მთავრობას არა აქვს რეალური კავშირი ამიერ-კავკასიის იმ ნაწილთან—საქართველოსთან, რომელსაც არ სურს დაუშვას თავისი ოკუპაცია და მზად არის წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. ამიტომაც ქართველ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ჩვენი ვალდებულებაა გუთხრათ ქართველ ხალხს, რომ ის არის დარჩენილი მარტოდ მარტო, რომ მან თვით უნდა იზრუნოს თავის ბედზე. ერთიანი ამიერკავკასია ფაქტიურად არ არსებობს, ეს უნდა ეცოდინოს სეიმმა და უარი სთქვას თავისს უფლებებზე (ხანგრძლივი ტაში).

რუსტამბეკოვი (მუსავატელი) აცხადებს თავის ფრაქციის სახელით, რომ თუმცა საქართველოს გამოყოფის სასარგებლოდ არ არის საკმაოდ პატივსადები ობიექტიური მიზეზები, მაგრამ მისს ფრაქციას ამის საწინააღმდეგო არა აქვს რა.

ნ. რამიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე) პასუხს აძლევს რუსტამბეკოვს, რომელიც თავისს სიტყვაში ბრალს სდებდა მას ფაქტების სუბიექტიურ გაშუქებაში და ამბობს, რომ უპასუხისმგებლო ელემენტების აგიტაციის წყალობით ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა ნამდვილს მასსიურ ლაშქრობას. ახალციხის მაზრაში უმცირესობა სცდილობს მოახვიოს თავისი ნებისყოფა უმრავლესობას და იარაღით ხელში ებრძვის მთავრობას. ზაქათალის ოლქში ოსმალო-ასკერებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება. განჯაში ოსმალო-აფიცერი ნაზიმ-ბეი მოწვეულ იქნა დიდის ამბით მაჰმადიან მცხოვრებთა მიერ.

აღამალოვი (ს.-დ. ჰუმეტისტი) [illegible] მაჰმადიანთა მეთაურების [illegible] პოლიტიკის შესახებ, რომელსაც მიჰყავს ხალხი მონობისაკენ.

მაჰმადიანთა სოციალ. ბლოკის წარმომადგენელი [illegible] მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ხუმნოვი (კადეტი) ინტერესდება რა ორიენტაციისა იქნება ახალი სახელმწიფო და მოითხოვს დანიშნულ იქმნას კომისია ერთა ინტერესების შესათანხმებლად.

ხაჩატურიანი (დაშნაკ.) სამართლიანად სთვლის მენშევიკების თვალსაზრის.

ბერეზოვი (ს. რევ.) მოუწოდებს ბრძოლისაკენ სოციალისტურ იდეალებისათვის და ამბობს, რომ საუკეთესო დამხმარე ამ ბრძოლაში იქნება რუსეთი, რომელიც ეხლა გერმანეთის იმპერიალიზმის ფრჩხილ ქვეშ არის გაშოთილი.

რუსტამბეკოვი (მუსავ.) კვლავ უპასუხებს მთავრობის თავმჯდომარეს და ამბობს, რომ ცალკე პირთა ცოდვებისათვის არ შეიძლება ბრალი დასდოს მთელს მაჰმადიან ხალხს. დარწმუნებული ვარ, სთქვა ორატორმა, რომ საქართველო და ადერბეიჯანი მომავალ განვითარებაში იქნებიან [illegible].

მელიქ ასლანოვი (მუსავ.) აგრეთვე აცხადებს, რომ ოფიციალური წარმომადგენლები მაჰმადიანებისა ყოველთვის [illegible] ამიერ-კავკასიის ინტერესებს.

ნ. რამიშვილიც ადასტურებს, რომ მას არ ჰქონდა აზრად ოფიციალურ წარმომადგენლების შესახებ რაიმე ბრალი წამოეყენებინა, მხოლოდ უპასუხისმგებლო ელემენტთა მოქმედება ქვეყნის თავდაცვისა და საერთო ინტერესების წინააღმდეგ თვით ამიერ-კავკასიაში და მათთვისაც ცხადია.

მ. ლასხიშვილი (ს. ფედ.) და **ი. გობეჩია** (ს. რევ.) მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ი. გობეჩია ამბობს, რომ ეს არის სამწუხარო საჭიროება.

გ. გვაზავა (ერ.-დემ.) იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველები და მაჰმადიანები ამ სეიმის შემდეგაც ერთმანეთის მეგობრებად დავრჩებით. ერთიანი ამიერკავკასია არ არსებობს. მაჰმადიანები ჩვენს გარეშე ეძებდნენ მოკავშირეს ოსმალეთის სახით, ხოლო სომხები მიისწრაფოდნენ ინგლისისა, ამერიკისა და სხვასაკენ. ასეთ პირობებში ვის რა ეთქმის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თუ თქვენ გსურთ ოსმალების შემოყვანა, შემოიყვანეთ, მხოლოდ ჩვენ თავი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანებუთ. შემდეგ ორატორი ეხება სოც.-დემოკრატების ცენტრალისტურ მიმართულებას და გამოსთქვამს სიამოვნებას, რომ ეხლა მაინც მათ იგრძნეს და მიაგნეს სწორ გზას. საქართველოს აქვს განსაზღვრული საერთაშორისო მნიშვნელობა. მან უნდა მიეცეს საშუალება ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რომელსაც მას აძლევს საერთაშორისო აქტები, ხელშეკრულებანი და ნორმები საერთაშორისო სამართლისა.

დასასრულ არ. წერეთელი ვრცელს სიტყვაში უპასუხებს ყველა ორატორებს. ჩვენი ვალია,—სთქვა ორატორმა,—აშკარად განვუცხადოთ ქართველს ხალხს, რომ ის მარტოდ მარტო არის დარჩენილი. რუს. სოც.-რევ. ბერეზოვის საპასუხოდ ორატორი ამბობს, რომ პატარა ერს არ შეიძლება უჩვენოთ გზა უკიდურეს რევოლიუციისა და საერთაშორისო ნორმების უკუგდებისა, როგორც მოიქცა ბოლშევიკური რუსეთი, რადგან ის რაც შეუძლია გაუძლოს დიდმა ერმა, ვერ გადიტანს პატარა ხალხი, რომელიც შეიძლება ამ უკიდურეს რევოლიუციურ ბრძოლაში სრულიად აღიგავოს პირისაგან დედამიწისა. პატარა ხალხს, რასაკვირველია, ესაჭიროება გარანტია თვით-განვითარებისა, მაგრამ ამ გარანტიის არჩევის დროს მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ საბოლოო მიზნით. ბოლოს ორატორი მოკლედ ახასიათებს სოც. დემ. მუშაობას და ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატია თანასწორად იბრძოდა როგორც საერთო, ისე კერძო ინტერესებისათვის და ამით მან მოამზადა ნიადაგი დღევანდელ მომენტის უმტკივნეულოდ მიღებისათვის.

კამათი გათავდა. სოც.-დემ. ფრაქციამ წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია:

„ყინაიდგან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდა ძირითადი სხვა და სხვაობა იმ ერთა შორის, რომელთაც შეჰქმნეს დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, შეუძლებელი შეიქნა გამოსვლა ერთი ავტორიტეტიან მთავრობისა დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის სახელით, სეიმი ადასტურებს ამიერ-კავკასიის ფაქტიურად დაშლას და უარს აცხადებს თავის უფლებებზე“.

ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმის დიდის უმეტესობით წინააღმდეგ ერისა (დაშნაკც. ფრაქციიდან) და სხდომაც დამთავრდა.

თეატრი და ხელოვნება

ოპერა „ქრისტინე“

ჩვენი მუსიკის ხვიგანი დიდი ხანია ეპატიჟება მადლით მოხალ მაესტროს, მაგრამ ხელმარჯვე ხელოვანი ჯერ კიდევ გუნდგუნდად მწყობრი რაზმებით არ ჩაუყენებია მის კალთაც ჩრდილოთა ქვეშ, რომ ნაირ-ნაირი ფოთლები მღვდელმსახურის მოწიწებით წამოეკრიბათ და მით აღედგინათ ძველი, მითიური ხანის საქართველოს წარმართული მშვენიერება, ეს წყნარი თუ მყივარი ლოცვები გმირებად ჩამოსულ ღმერთებისადმი. თითქოს რწმენის ყვაველი დაფები გვესხვრევა: ირონიის მსუბუქი ფრთებით გამოქროლება, დაცინვა და მოქანცულ რწმენის დაკარგვა ერთგვარ გაოდ-ფასებას აძლევენ ჩვენს ხელოვნების მელანქოლიურ სფეროში, სადაც უკაკლუცესი ლეგენდები ლოდინით ჰკრთებიან, ფუთ აგდარში ჩამოეცხალი მარმარილო, მხოლოდ ეხლა ჩნდებიან თანდათანობით მაყრები,—არაყიშვილი, ფალიაშვილი, ბალანჩივაძე—აი ვინ მოიმღერიან ჯეროჯერობით, აი ვინ არღვევენ დღევღამილობით პირმიმჯკნარს იდუმალებას, აი ვინ გვპირდებიან ჩვენი მუსიკის ქორწინებას, ვინ მიეშურებიან მშობლიურ ბუდეებს, ახალ ცხოვრების ახალ განთიადის შესახვედრად. გაწყდარი ძაფი წარმართულ საქართველოსი კვალად მთელდება ქრისტიან საქართველოში მხოლოდ ოცი საუკუნის შემდეგ და კვლავ იქსოვება პენელოპეს ზღაპრული ხალიჩა, როგორც დაუსრულებელ ლეგენდების ცოცხალი ძაფი.

ამ ახალს მაყრებს გვერდში ამოსდგომია ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი პარივნება რ. გუნიაშვილი. უკვე ჩვენი საზოგადოება გაეცნო მის ოპერას—„ქრისტინე“-ს. სიუჟეტი ოპერისა ნინოშვილითაა ნასესხები და მაინც და მაინც არა საეფექტო, ღმერთებისა და ზღაპრულ მშვენიერების ქსოვილი სურნელ ფიჭვნარით გაშლილი პანორამა, სადაც ელფებთან ერთად დაჰქროდნენ გრიგი და ვაგნერები; არც თუ გუნიაშვილის მუსიკის ფრქვეულ ტალღებში აჩნევთ ღრმა და დამატყვევებელს ფანტაზიას, ადამიანის სულის ღრმა ფსიხოლოგიურს ანალიზს, არა, მუსიკა გუნიაშვილისა მეტად მარტივია, თუ გნებავთ, პატარ პატარა ფრესკებია, რომელნიც თუ დამატყვევებელს არა, სათითაოდ სათანადო შთაბეჭდილებას მაინც ახდენენ, როგორც მთლიანი, დიდრონი სურათები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფრესკათა შორის მშობლიურ სახეებისას იშვიათად ჰხედავთ. აქ უფრო უცხოელთა მიმბაძველობასთანა გაქვთ საქმე, სულ სამი თუ ოთხი სიმღერა—ჰანგი გვაგრძნობინებს მშობლიურ ხმებს („სამინდის თოხნა დავიწყოთ,“ „რუნო“ და სხვ.). სხვაფრივ იმის ინსტრუქციიდან დაწყებული უკანასკნელ ფარდის ჩამოშვებამდე გასცირნება გახლავთ ამისა, უცხო მუსიკის ხვევაში, მაუხედავათ ჩვენი ხელოვნებისთვის ამ გარემოებას არავითარი დამამცირებელი ტონი არ შეაქვს, პირიქით, ეს აუცილებელი მოვლენაა ყველა ახლად დაწყებულის თავს: არც ვაგნერი, არც გრიგი, ბეთჰოვენი თუ მუნი, როგორც პოეზიის ისეთი კორიფეენი, როგორიც არიან ბაირონი, პუშკინი, თვით ჩვენი ბარათაშვილი, ჭავჭავაძე თუ გაფა-აკაკი ყოველთვის მიმბაძველობით იწყებდნენ, ვიდრე მუხლში საკუთარს ძალას იგრძნობდნენ... (აღსრულების მხრივ უნდა ითქვას, რომ მსახიობნი სათანადოდ ასახულებდნენ ახალგაზრდა მუსიკოსს. ცუდი ის იყო მხოლოდ, რომ მსახიობთა სიმცირისა გამო ერთი და იგივე მსახიობი სამს როლში გამოდიოდა. სამაგიეროდ ყველა აშსრულებელნი თავისთავის ადგილას იყვნენ. ივ. სარაჯიშვილის იასონი ჩვეულ ფილ, ახლად აფეთქილს ვნების მშვენიერებას წარმოადგენდა. მელოდიური გრძნობათა. მადრეგანი მადლიანად ჰხამადა სმენას. მისი შეხვედრა გულის სატრფოსთან—ქრისტინესთან (ქ-ნი რ. კალანდაძე—აგასოვისა) ნამდვილი მკვეთრი სურნელის ფიქალა იყო, უმაღლეს განცდათა ის წერტილი, როდესაც გრძნობიერება ამოდის ხორცილებას და ხდება ოი სტიქიის კაკლუცი გადახლართვა, სულიერის და ხორცისა! სარაჯიშვილი, როგორც ნადირის როლში („მარგალიტის მაძიებელნი“) აქაც გრძნობათა წვიანი იყო, ხან ქარიშხლიანუბური, ხან კი მინაზებული ნიავისებური აღერსიანი სუნთქვა.

ქრისტინე (კალანდაძე—აგასოვისა) არა მარტო კეთილ-ხმოვანი მომღერალია, არამედ მსახიობიც, რომელიც უხმოდ, მიმიკით, განგაცდევინებთ გრძნობათა აშლილ უერყველი გრიგალის ტრიალს.

სხვა მომღერალთა შორის აღსანიშნავი არიან ე. მიხაილოვისა (მარიკა), ქ. ქურმატოვისა (დედა), განსაკუთრებით ქ-ნი ა. ლიხეინი (სონა). აქ მუსიკა გუნიაშვილისა ერთგვარი დარდიმანდული ჯირითით იჭრება მელოდრამატიზმით მომქანცველ სცენებში და, თუ სწრაფი მოკვეთა პერიოდისა არა, მეტად ხალისიან შთაბეჭდილებას დასტოვებდა.

ოპერაში გუნიაშვილს, სხვათა შორის, ფრიად საინტერესო ტიპიც გამოუყვანია—კინტო. სამწუხაროდ ამ ჩამოყალიბებულს ტიპს ოპერაში თამამ თამაშისა და ტანისამოსის იქით სხვა არა აქვს რა კინტოსი. კინტო, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრების ერთგვარი ბოჰემის შვილია. მან შეჰქმნა საკუთარი მელოდიები, სიტყვასიმახვილე. განსაკუთრებულია მისი დარდიმანდობა, აღგზნება თუ დაწვა საყვარელ არსებისთვის. საკმარისია ყური მოჰკრათ შორიდან მის სევდიან ჰანგს, რომ თქვენც დაიწვათ მისი კვნესით. გუნიაშვილს არცერთი ჰანგით არ უსარგებლნია. კინტოს ვაება, კინტოს დარდიმანდობა უცხოურია. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ფრანგს ჩაუცვამს კინტოს ტანისამოსი, რომ კომპატრიოტებს აზიის ერთი კუთხის პატარა ბოჰემის ტიპი წარმოუდგინოს, განიერშარვლისა და ლილებ ჩაწკეპილი ახალუხი. კოლორატურისა და კილოს უცხოობა უნებლიედ გულსა გწყვეტს: რამდენი მადლიანი ნედლი მასალაა ამ ტიპის დასახატავად და როგორ უცნობი ყოფილა ეს ფერადები ახალგაზრდა მუსიკოსისთვის!

საზოგადოდ „ქრისტინე“ სათანადო მუსიკალური ნაწარმოებია, ვიდრე რომელიმე „არშინ-მალ-ალან“-ისებური ოპერეტები, რის გამოისად გაგიჟებულია ჩვენი საზოგადოება. ოპერა „ქრისტინე“ ღირს იმად, რომ იგი უფრო ფართო სცენაზე დაიდგას, ვიდრე ყოველად მახინჯ ქართულ კლუბისაზე, რა თქმა უნდა, შევსებული გაწვრთნილი გუნდებით, ორკესტრით და მსახიობთა პერსონით.

მსურდა აქ წერტილი დამესვა, მაგრამ მცირე შენიშვნაა საჭირო: პროგრამაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: მონაწილეობას იღებენ მეზურნეებიო. საბედნიეროდ ამ დღეს მეზურნეები არ ჰყოლიათ და არც თუ რამე დააკლდა გუნიაშვილის მუსიკას. ტლანქი, პრიმიტიული ინსტრუმენტი, მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკას ვითომც მშობლიური ელფერი მისცეს, ისეთივე შეუფერებელია, როგორც მადონას სურათის ჰაეროვან ფონზე კალატოზის მიერ ქაფჩით წასმული კირი. თანამედროვე განვითარებულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს არქაიული საყვირები აღარ სჭირიათ...

დ. კასრაძე.

წერილი რედ. მიმართ

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ღრმეს მადლობას სწირავს ბატ. ა. ხოშტარიას და ბ. იოსელიანს, რომელთაგან პირველმა შესწირა ზემოხსენებულ საზოგადოების პრე-კურის განძრახულ სკოლის აღმაშენებელ ფონდისთვის 500 მ. და მეორემ 100 მ.

ნ. ნ. გაბაშვილისა.

ღრმად დამწუხრებულნი განუყრელნი მეუღლე ანნა ნიკოლოზის ასული და შვილები: თამარი, ნიკოლოზი და ეკატერინე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ ოთხშაბათს 29 მაის (16) ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ნიკოლოზის ძის
თულაშვილის

სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

1—1629—1

სამშაბათს 28 მაისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულ

ნიკოლოზ ხარლამპის ძე ხუციშვილის

სულის მოსახსენებლად, კუკიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მშობლები მღ. ხარლამპი ნიკოლოზის ძე, ეკატერინე გიორგის ასული ხუციშვილი, შვილები: ეკატერინე, გიორგი, მიხეილი და პაპა გიორგი სოლომონის ძე და მეუღლე მისი ევა ილიას ასული და შვილი მათი ილია [illegible]. წირვა დაიწყება 10 საათზე.

2—1627—2

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (ფსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

დოჩხიძე

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (ვაიკინის ხიდის სიახლოვეს).

ტელეფონი 7—38.

საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისის ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის კომიტეტის

ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ მიიღონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებაზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის პირველი კოოპერატიული სარძეო ფერმა

მიიღება წევრთა ჩაწერა. საწევრო გადასახადი პირველ შესვლისას 10 მანეთი. თითო პაის ფასი—150 მანეთი. პაიების რიცხვი განსაზღვრულია. ფერმაში რძის გარდა შემზადდება ნაღები, მაწონი, ამერიკულ რძიდან შემზადებული ნაღები, კარაქი და აგრეთვე პასტერის წესით გაწმენდილი რძე და კეფირი. მუშაობას ხელმძღვანელობენ მეურნე-სპეციალისტები, ვეტერინარს ადევნებენ ექიმები. ფერმის მოსამსახურეთა შტატი და ადმინისტრაცია შესდგება განსაკუთრებით პაიების მფლობელთაგან.

კერძო პირების გარდა წევრებად მიიღებიან კოოპერატივები და საზოგადო სასადილოები, სახლები, საქველმოქმედო დაწესებულებანი: თავშესაფრები და სხვა ამგვარი. მათ უნდა შეიძინონ რამდენიმე პაი იმის მიხედვით, თუ რამდენი რძე დასჭირდებათ. საწევრო და პაის ფული მიიღება ყოველდღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 ს.-მდე და საღ. 4—6 ს. ხაზინადარ ივ. დიაკონოვთან (გოლოვინის პრ. 8. კავკასიის ქალთა კოოპერატივის გამგეობა).

7—1612—7

საქ. ერ. დემ. პარტიის I რაიონის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

ოლღას ქუჩა სახლი მდივნისა № 28 კოოპერატივ „დახმარების“ გვერდზე.

ბიურო ღიაა ნაშუადღევის 11 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. კვირა-უქმე დღეებში გაღება დაკეტვას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

3—3

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

მ. ჩინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის“ პირდაპირ.

თ—1018—43

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—24

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—52

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა გაზაფხულის შესახვევი № 4.